სახელმწიფო შესყიდვის
ხელშეკრულება #26-140316-01

ქ. გარდაბანი, 14 მარტი, 2016 წ.

ერთის მხრივ, შპს "გარდაბნის თბოსადგური" (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ლაშა მგელაძის სახით, და მეორეს მხრივ, მეორეს მხრივ, შპს **"PROSPER LIMITED"** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის **მიხეილ ქართლელიშვილის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის "თ" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. "მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას ამ ხელშეკრულების პირობების თანახმად, ჩაუტაროს ავტოსარემონტო სამუშაოები (შემდგომში "მომსახურება") "შემსყიდველის" ბალანსზე არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას მტვირთავზე CPCD35N-RW27, რომლის მონაცემები მოყვანილია N1 დანართში. CPV50112000

1.2. "მომსახურება" ითვალისწინებს შემდეგი სახის სამუშაოების ჩატარებას:

1.2.1. პროფილაკტიკური და დიაგნოსტიკური სამუშაოების ჩატარება;

1.2.2. ავტომანქანის შეკეთება, გაუმართაობის აღმოფხვრა;

1.2.3. დაზიანებული ნაწილების შეკეთება და/ან გამოცვლა;

1.2.4. საცხებ-საპოხი მასალების, საბურავების, ხუნდების და სხვა ნაწილების მიწოდება/გამოცვლა;

1.3. მომსახურება ხორციელდება შემსყიდველის ტერიტორიაზე მისამართზე ქ. **გარდაბანი, დავით აღმაშენებლის 2 ბ.**

1.4. ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების და სათადარიგო ნაწილების ღირებულება განისაზღვრება **დანართი №2-ის** საფუძველზე, რომელიც სახით თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.5. "შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

2. სამუშაოების ჩატარების წესი

2.1. "მომსახურება" წარმოებს მხარეთა მიერ ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის შედგენილი და შეთანხმებული შესაბამისი აქტის ან შეკვეთის საფუძველზე.

2.2. გაწეულ "მომსახურებაზე", ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მხარეები ადგენენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ამ მომსახურების აღწერა, შესრულებული სამუშაოების, გამოყენებული სათადარიგო ნაწილებისა და საცხებ-საპოხი მასალების რაოდენობა და/ან მოცულობა, ფასი და საერთო ღირებულება. მიღება-ჩაბარების აქტს თან უნდა დაერთოს მიმწოდებლის მიერ გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურა.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. "მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას:

3.1.1. ხარისხიანად და დროულად უზრუნველყოს მომსახურება "შემსყიდველის" **2016 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.

3.1.2. "შემსყიდველის" მიმართვისას, არაუგვიანეს მომდევნო დღისა, ჩაატაროს ავტომანქანის დათვალიერება.

3.1.3. უზრუნველყოს ჩასატარებელი სამუშაოების დროულად, გონივრულ ვადაში შესრულება.

3.2. "შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას:

3.2.1. გადაუხადოს "მიმწოდებელს" გაწეული "მომსახურეობის" საფასური, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4. ხელშეკრულების ფასი

4.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით, მხარეთა შორის შეთანხმებული პრეისკურანტების (დანართი 2) საფუძველზე.

4.2. ხელშეკრულების მაქსიმალური სავარაუდო ღირებულება შეადგენს **4'398,50** (ოთხი ათას სამას ოთხმოცდათვრამეტი ლარი და 50 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4.3. დანართ #2-ში მითითებული ფასები და გაწეული "მომსახურების" საერთო ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს "მომსახურების" გაწევასთან, სათადარიგო ნაწილების შეძენასთან, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, გადასახდელს, მოსაკრებელს, ბაჟს, მათ შორის დღგ-ს.

4.4. მომსახურების ვადის განმავლობაში ფასების შეცვლა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, მიღება-ჩააბრების აქტის ხელმოწერის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

5. ხარისხი და გარანტია

5.1. ძირითადი საგარანტიო მომსახურების პირობები მტვირთავზე CPCD35N-RW27 მიიღება თანახმად SPA150022146 ტენდერის შესაბამისი დანართებისა. ყველა სხვა შემთხვევაში საგარანტიო მომსახურების პირობები მიიღება თანახმად ამ ხელშეკრულების შესაბამისი მუხლებისა.

5.2. "შემსრულებლის" გარანტია შესრულებულ სამუშაოებზე და შეცვლილ და/ან შეკეთებულ სათადარიგო ნაწილებზე მოქმედებს თანხმად ამ ხელშეკრულების 5.1. აღნიშნული დანართის „საგარანტიო მომსახურების პირობები" პირობებისა.

5.3. თუ საგარანტიო პერიოდში აღმოჩნდება დეფექტები, რომლებიც გამორიცხავენ ავტომანქანების უსაფრთხო ექსპლუატაციას, "მიმწოდებელი" ვალდებულია, "შემსყიდველისაგან" შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში

14.03.2016

5.3. თუ საგარანტიო პერიოდში აღმოჩნდება დეფექტები, რომლებიც გამორიცხავენ ავტომანქანების უსაფრთხო ექსპლუატაციას, "მიმწოდებელი" ვალდებულია, "შემსყიდველისაგან" შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს დეფექტი ან შეცვალოს დეფექტური ნაწილი, ან დაუბრუნოს შემსყიდველს გადახდილი თანხა.

5.4. 5.2. პუნქტში აღნიშნული გარანტია არ ვრცელდება შემსყიდველის მიერ ავტომანქანების შენახვის, მომსახურებისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევის, ასევე გარეგანი ზემოქმედების შედეგად (მექანიკური ზემოქმედება, არაკვალიფიციური მოპყრობა და სხვა) მიყენებულ ზიანზე.

5.5. "შემსყიდველი" უფლებამოსილია განაცხადოს უარი 5 დღეზე მეტი დაგვიანებით ან უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების, და/ან უხარისხო სათადარიგო ნაწილების მიღებაზე და მათ ანაზღაურებაზე.

5.6. სამუშაოების ჩატარების დროს, სამუშაოების ჩატარებაზე მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე, ყველა რისკები ავტომანქანისადმი მიყენებულ ზიანზე ეკისრება "მიმწოდებელს".

5.7. სამუშაოების ჩატარების შემდეგ "მიმწოდებელი" ვალდებულია დაუყოვნებლივ გადასცეს დამკვეთს უფლებრივად და ტექნიკურად გამართული ავტომანქანა.

6. ანგარიშსწორების წესი და ანგარიშსწორების ადგილი

6.1. "შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას გადაუხადოს "მიმწოდებელს" ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურება უნაღდო ანგარიშსწორებით მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის და ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.2. ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. "შემსყიდველი" უფლებამოსილია, სამუშაოების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების და/ან ხელშეკრულებაში მითითებული ვადების გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს "მიმწოდებელს" პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.

7.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში "მიმწოდებელი" უფლებამოსილია, დააკისროს "შემსყიდველს" საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადაუხდელი თანხის 0,1 %-ის ოდენობით.

7.3. მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი დარღვევის და/ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს უფლება აქვს წერილობით მიუთითოს მას აღნიშნულ გარემოებაზე და მოსთხოვოს მისი გამოსწორება გონივრულ ვადაში (რაც ფორმდება შეტყობინების სახით), ხოლო შეტყობინებაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ან/და ხელშეკრულებიდან გასვლა.

7.4. ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა.

7.5. "მიმწოდებლის" მიერ ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ ათავისუფლებს მას წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მოვალეობისაგან.

7.6. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და/ან დარღვევა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულებების შესრულებისაგან ისეთი გადაულახავი ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას, როგორიც არის ომი, ხანძარი, სტიქიური უბედურებები, სახელმწიფო ხელისუფლების გადატრიალება, სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული აქტი და სხვა პირობები, რომლებიც აფერხებენ და შეუძლებელს ხდიან მხარეების მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელებას.

8.2. მხარეები ვალდებულნი არიან წერილობით აცნობონ ერთმანეთს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შესახებ მათი დადგომიდან 24 საათის განმავლობაში.

8.3. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. Dდადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

8.4. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1. "შემსყიდველს" ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს განახორციელოს გაწეული მომსახურების კონტროლი.

9.2. "მიმწოდებლის" მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს "შემსყიდველის" მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

9.3. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

9.3.1. "მომსახურების" მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების წინადებარე ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და "შემსყიდველის" მიერ უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელის მოწერა;

9.3.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე შეამოწმოს, სრულად არის თუ არა გაწეული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება და უარი თქვას დაგვიანებით ან არასრულად გაწეული მომსახურების მიღებაზე და შესაბამის ანაზღაურებაზე.

9.3.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება;

9.3.4. საჭიროების შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ამსახველი პერიოდული დოკუმენტაციის წარმოება და შენახვა;

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
10.2. "მიმწოდებელთან" დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად "შემსყიდველისთვის" იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2017 წლის 31 იანვრამდე;**
11.2. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე თუ:

ა. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე სისტემატიურად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს.

ბ. წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომისას, არსებითად იცვლება ხელშეკრულების პირობები.

12. სხვა პირობები

12.1. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
12.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად.
12.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი მუხლის, პუნქტის ან/და დებულების ბათილად ან/და ძალდაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანარჩენი მუხლების, პუნქტების ან/და დებულებების ნამდვილობაზე;
12.4. ხელშეკრულებაში დამატებების/დანართების/ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: **შპს "გარდაბნის თბოსადგური"** მის. ქ. გარდაბანი, დ.აღმაშენებლის 2ბ ს/კ: 404428071 ბანკი: სს „საქართველოს ბანკი", ბ/კ: BAGAGE22 ა/ა GE05BG0000000850529700 ტელ. 995 32 299-1201 (დამ 308), 555 254747 გენერალური დირექტორი ლ. მგელაძე	მიმწოდებელი: **შპს "PROSPER LIMITED"** მის: ქ. თბილისი, პეტრიწის ქ. 14, ბ. 30 ს/კ: 404983041 ბანკი: სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველო IBAZGE22, ა/ა GE04AZ0036600000231201 ტელ. 577105009 დირექტორი შ. ქართლელიშვილი

გარდაბანი, 16.03.2016 წ.

მიღება-ჩაბარების აქტი

ერთის მხრივ, შემსყიდველი - შპს "გარდაბნის თბოსადგური", ს/კ - 404428071, გენერალური დირექტორის ლაშა მგელაძის სახით, და მეორეს მხრივ, მიმწოდებელი **შპს "PROSPER LIMITED"**, ს/კ - 404983041, დირექტორის მიხეილ ქართლელიშვილის სახით, ვადასტურებთ, რომ თანახმად №26 140316-01 ხელშეკრულების პირობებისა მიმწოდებელმა გაუწია ფიწლიანი მტვირთავის ტექნიკური მომსახურება, რომლის ღირებულებამ შეადგინა 226,50 ლარი (ორას ოცდაექვსი ლარი და 50 თეთრი) დღგ-ს ჩათვლით. აქტი სწორია, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით.

შემსყიდველი:

შპს "გარდაბნის თბოსადგური"

ს/კ - 404428071

მის: ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის 2 ბ

სს "საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი: BAGAGE22

ა/ა GE05BG0000000850529700

ლაშა მგელაძე

გენერალური დირექტორი

მიმწოდებელი:

შპს "PROSPER LIMITED"

ს/კ - 404983041

მის: ქ. თბილისი, პეტრიწის ქ. 14, ბ.30

ბანკი: სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველო"
IBAZGE22, ა/ა GE04AZ0036600000231201

მიხეილ ქართლელიშვილი

დირექტორი

PROSPER LIMITED LLC 404983041

16.03.2016

დანართი N1

"შემსყიდველის" ბალანსზე არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები

#	ავტომანქანის სახ.ნომერი (ლათინურად)	ავტომანქანის მარკა (ლათინურად)	ავტომანქანის მოდელი (ლათინურად)	გამოშვების წელი	შენიშვნა
1	AV-962-V	CPCD35N	RW27	2015	

შემსყიდველი:
შპს "გარდაბნის თბოსადგური"

ლ. მგელაძე
გენერალური დირექტორი

მიმწოდებელი
შპს "PROSPER LIMITED

მ. ქართველიშვილი
დირექტორი

GEO DRILLING COMPANY
P.L. LTD.
PROSPER LIMITED LTD

15,03,2016

საგარანტიო პერიოდში მომსახურების დასახელება და ფასები

ნამუშევარი საათები	დასახელება	რაოდენობა	ღირებულება ეროვნულ ვალუტაში დღგ-ს ჩათვლით
100	ძრავის ზეთი	6,5 ლიტრი	71,5
	ძრავის ფილტრი	1 ცალი	45
	ჰაერის ფილტრი	1 ცალი	120
	საწვავის ფილტრი	1 ცალი	70
	მომსახურება	1 მომს	300
		ჯამი:	606,5

250	ძრავის ზეთი	6,5 ლიტრი	71,5
	ძრავის ფილტრი	1 ცალი	45
	ჰაერის ფილტრი	1 ცალი	120
	საწვავის ფილტრი	1 ცალი	70
	მომსახურება	1 მომს	300
		ჯამი:	606,5

500	ძრავის ზეთი	6,5 ლიტრი	71,5
	ძრავის ფილტრი	1 ცალი	45
	ჰაერის ფილტრი	1 ცალი	120
	საწვავის ფილტრი	1 ცალი	70
	საწვავის ავზის ფილტრი	1 ცალი	110
	ჰიდრავლიკის ფილტრი	1 ცალი	85
	ჰიდრავლიკის ზეთი	32 ლ	256
	ტრანსმისიის ზეთის ფილტრი	1 ცალი	190
	ტრანსმისიის ზეთი	10 ლ	150
	ღვედები	2 ცალი	50
	მომსახურება	1 მომს	600
		ჯამი:	1747,5

750	ძრავის ზეთი	6,5 ლიტრი	71,5
	ძრავის ფილტრი	1 ცალი	45
	ჰაერის ფილტრი	1 ცალი	120
	საწვავის ფილტრი	1 ცალი	70
	რედუქტორის ზეთი	14 ლ	210
	მომსახურება	1 მომს	300
		ჯამი:	816,5

1000	ძრავის ზეთი	6.5 ლიტრი	71,5
	ძრავის ფილტრი	1 ცალი	45
	ჰაერის ფილტრი	1 ცალი	120
	საწვავის ფილტრი	1 ცალი	70
	მუხრუჭების სითხე	1 ლ	15
	მომსახურება	1 მომს	300
		ჯამი:	621,5
		სულ	**4 398,50**

შპს "PROSPER LIMITED" -ს დირექტორი
მიხეილ ქართველიშვილი

PROSPER LIMITED LTD. I/N 404983041. I. PETRISTI STR. 14/30 TBILISI / GEORGIA
T: +995 577105009 / +995 568111039 e-mail: mkartlelishvili@yahoo.com

PROSPER LIMITED LLC. 404983041 Georgia